საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

# ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლიდან

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 18 (6512) 7 მაისი ხუთშაბათი 1992 წელი

## დაუბრუნეთ გლეხს მიწა - მარჩენალს!

3 წელიწადია საქართველოში მიწის გლეხისათვის დაბრუნების აუცილებლობაზეა ლაპარაკი. დიახ, ჯერ მხოლოდ ლაპარაკი... ჯერ პრაქტიკულად ამ საქმეში თითქმის არაფერი გაკეთებულა, თუ რა თქმა უნდა, არ ჩავთვლით გამსახურდიას დროინდელი მმართველობისა და დროებითი მთავრობის შესაბამის დადგენილებებს. დადგენილებიდან მის ხორცშესხმამდე კი დიდი მანძილია და ჩვენ ძალზე უნდა ვეცადოთ, რომ ეს მანძილი რაც შეიძლება მოკლე დროში გავიაროთ. ჯერჯერობით ამგვარი მოწადინება ძნელი შესამჩნევია. ორში ერთია: ყველას, და განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის რგოლების ხელმძღვანელ მუშაკებს, ან ბოლომდე არა აქვთ შეგნებული მიწის პრივატიზაციის აუცილებლობა ან ამ შეგნებას ადვილად უქვემდებარებენ სკამის ინტერესებს. არადა, ეს სკამი უკვე ბუტაფორიად იქცა—დიდი მიხვედრა არაა საჭირო მისი უპერსპექტივობის გასაგებად. მავანი ვერაფრით შეგუებია აზრს, რომ გლეხის ნაშრომიდან რაღაცას არ გამორჩეს, მავანს კიდევ პატივმოყვარეობის ჭია ხრავს და იმის წარმოდგენაც კი ზარავს, მისი ბრძანების გარეშე ჩხირი გადაბრუნდეს „საზოგადოებრივ" მიწის ფართობებში. ერთი სიტყვით, ზოგს სახრავის ჯავრი ჭამს და ზოგსაც სახელისა და ცდილობს დალუპვას გადაარჩინოს ძველი სტრუქტურები, ამისათვის კი არაფერს ერიდება—სიტყვითა თუ განზრახ პრობლემების შექმნით აფრთხობს გლეხს. ტყუილად ჩაგივლით მცდელობა, ბატონებო! მესაკუთრის გრძნობა ისე ძლიერია ადამიანში, მით უფრო გლეხკაცში, ადრე თუ გვიან იგი მიხვდება ყველაფერ ამას. ადრე თუ გვიან მტკიცედ ჩასჭიდებს ხელს თავის მიწას—მარჩენალს. გაიხდის, დაიშვევა და მიწას მაინც დაიბარჩუნებს. ამიტომ ფუჭია მავანთა მცდელობა—მას მხოლოდ დროებით შეუძლია საქმის შეფერხება. ეს კი ქვეყანას დააწვება ტვირთად. გლეხი, რაც აქამდე უჭირდა, იმდენს ახლაც გაიჭირვებს და წლის სარჩოს მაინც მოიყვანს, ჩვენ კი დავზარალდებით.

ეს არ გახლავთ გაზვიადება—საქმე ძალზე რთულადაა იმიტომაც, რომ ბევრი სერიოზულად ფიქრობს ძველი, მანკიერი სისტემის რეანიმაციაზე. ცხადია ეს შეუძლებელია, მაგრამ საქმე ხომ ფერხდება. ის, რაც გუშინ უნდა გაკეთებულიყო, დღეს იწყება, და ისიც ძნელად. ეროვნული ხელისუფლების სათავეში მოსვლისა და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების ჩამოყალიბებისთანავე უნდა დაწყებულიყო მიწის ინვენტარიზაცია (ასეთი დავალებები გასცა მაშინდელმა მთავრობამ), ზოგან დაიწყო კიდეც ეს პროცესი, მაგრამ, სამწუხაროდ, ისე ნელა, რომ მთელი ეს სამუშაო ახლაა შესასრულებელი. არადა თავისუფლად შეიძლებოდა მიწის პრივატიზაციის შესახებ დროებითი მთავრობის დადგენილების გამოსვლის მომენტისათვის მოსამზადებელი სამუშაოები დამთავრებული ყოფილიყო და განაწილების პროცესი დაწყებულიყო. ეს დიდად წაგვწევდა წინ, ახლა კი კიდევ ერთი წელი იკარგება. ბევრი სადავო ფართობი, რომელიც შარშან დაუმუშავებელი დარჩა, ალბათ ასევე დარჩება წელსაც. ერთი წელი კი ჩვენი, ლამის მიწასთან გასწორებული ქვეყნისათვის შეიძლება სასიცოცხლო მნიშვნელობისა იყოს.

აქედან გამომდინარე დანაშაულის ტოლფასია ის, რომ ზოგიერთ საზოგადოებრივ მეურნეობაში ნელი ტემპით მიმდინარეობს ხვნა-თესვა, აქაოდა გლეხები წინასწარ არ იხდიან ფულსო. იქნებ ზოგი გლეხი თავსაც არიდებდეს დახვნის საფასურის გადახდას, მაგრამ ბევრს ხომ მართლაც არა აქვს ახლა ფული—ნაღდი ფულის უქმარობამ მისთვისაც შექმნა პრობლემები. საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელებმა უნდა იგრძნონ პასუხისმგებლობა, რომ მიწა დროზე მოიხნას, არ მოცდეს, ხოლო პარალელურად მიმდინარეობდეს საპრივატიზაციო სამუშაოები.

ყველაზე მთავარი ის არის, რომ მიწის პრივატიზაცია სანახევროდაც არ არის გატარებული და სოფლად შეიძლება ითქვას განუკითხაობა გამეფდა, თვითნებურად ეუფლებიან მიწის ნაკვეთებს, განსაკუთრებით მემკვიდრეობითობის მიზეზით. ყველამ უნდა იხელმძღვანელოს მიწის პრივატიზაციაზე მიღებული დადგენილებით და ვიმოქმედოთ მის შესაბამისად.

## მეტი გულშემატკივრობა მართებთ

ისე, როგორც მთელი რესპუბლიკის აგრარულ სექტორში, ჩვენს რაიონშიც მიწის კერძო საკუთრებაში გადაცემის სამუშაოები მიმდინარეობს. ამ მნიშვნელოვანმა პროცესმა არამც და არამც არ უნდა შეაფერხოს საგაზაფხულო სამუშაოები. აგროვადების ამოწურვამდე ბევრი დრო არ დარჩა და სამწუხაროდ, საქმეს კარგი პირი არ უჩანს. მაისი დადგა და ზეგნებს რომ თავი დავანებოთ, ტექნიკით სახნავ უზარმაზარ სამარცვლე მასივებს ჯერჯერობით სახნისი არ შეხებია. ხალხი შეშფოთებას ვერ მალავს. ლასურიაშის ქალის, უსახელოურის საბჭოთა მეურნეობის, ორბელის და სხვათა უზარმაზარ ფართობებში ჯერჯერობით ერთი კვალიც არაა გატანილი. რატომ? რაშია საქმე? სოფელს არც ტექნიკა აკლია და საწვავიც შემოზიდულია, მაგრამ ამ მნიშვნელოვან საქმეს დღემდე თავი ვერ მოება. [illegible] კი მენაკვეთეებთან [illegible] არიან ჩაბმული, [illegible] მე გვიანდება.

რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველომ შეადგინა ფასების ნიხრი და ყოველი 1000 კვადრატული მეტრის დახვნაში მიწის პატრონმა 200 მანეთი (კომერციულ ფასში) უნდა გადაიხადოს. მაშ რა აფერხებს საქმეს?

ადგილობრივ საკრებულოთა გამგებლებს მეტი ფხა და უნარი, საქმისადმი გულშემატკივრობა მართებთ. ყოველი დღის დაგვიანება დაკარგულ მოსავალს ნიშნავს. დაკარგული მოსავალი კი ჩვენს შიმშილობას და იმაზე უარეს მდგომარეობაში ჩავარდნას, ვიდრე დღესა ვართ.

## გლეხკაცი

ჯანღონით სავსე კაცია, მშრომელი, თავმოყვარე, ოჯახისა და საქმის ერთგული.

გამრჯე, პატიოსანი დედმამისაგან შეისისხლხორცა სიკეთე და შრომის სიყვარული, ადამიანური თვისება, რომლის ანაზღაურებას გაცვლა მის შრომას, დაკოჟრილ ხელებს, რომ ეკადრებოდა, ისეთი ანაზღაურება არასდროს მიუღია.

არც კოლმეურნეობას დაადგა საშველი, ვერც დოტაციებმა უშველა და ვერც ვერანაირმა რეფორმებმა.

ამასობაში კი გაცვდა

## დაკოჟრილ ხელებს რომ ეკადრება

ბები ორბელელმა ბიქტორ ბახსოლიანმა. როცა ეს ყველაფერი ერთადაა კაცში, რა თქმა უნდა, მას არ ეშინია სინდისთან დადგომის, აქვს მორალური უფლება ხმამაღლა ილაპარაკოს კაცთმოყვარეობაზე, საქართველოს სიყვარულზე, სოფლის ხვალინდელ დღეზე.

რაც თავი ახსოვს, კოლმეურნეობაში მუშაობს. იმედით შეუდგა შრომას ბავშვობიდან, დილაუთენია ვენახში თუ შეხვდებოდით, რა ტერასები არ უკეთებია, არც უკეთესი გუთნისდედა იყო ვინმე სოფლად. 3-4 ტონა ყურძენი ბევრჯერ ჩაუბარებია მარნისათვის, სიმინდის სარეკორდო მოსავალიც მიუღია, მაგრამ მუშაკაცი, დაიღალა, წლები გაფრინდა.

ახლა კი იმედის სხივი გაუჩნდა. მიწა მიწის მშრომელს უნდა გადაეცეს მუდმივ საკუთრებაში. ჩატარდა სოფლის კრებაც, შეიქმნა კომისია, მაგრამ პრაქტიკულად მიწის განაწილება ჭიანურდება. მიწას კი ოხშივარი ასდის, ხნული თესლს ელის.

ბატონ ბიქტორს რომ ჰკითხოთ, დიდი სიფრთხილით, ობიექტურობით, ახსნა-განმარტებითი მუშაობით შეიძლება უმტკივნეულოდ გადაწყდეს ეს დიდი საქმე, რომ არავინ დარჩეს გულნატკენი, დაზარალებული, დაჩაგრული.

სწორედ ბიქტორ ბახსოლიანისთანა გამოცდილ, სოფლის ჭირ-ვარამში ჩახედულ ადამიანებს უნდა დავეკითხოთ ბევრი რამ.

## პური ჩვენი არსობისა..

„ცეკავშირის სისტემის ყველა კოოპორგანიზაციას, კოოპერაციულ მრეწველობასა და პურკომბინატს.

გაცნობებთ, რომ რესპუბლიკაში ხორბლით მომარაგებაში შექმნილი მძიმე ვითარების გამო კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის სამინისტრო ვერ უზრუნველყოფს სისტემის საწარმოებს პირველ კვარტალში დარჩენილი აუთვისებელი ფქვილის ნაწილის მეორე კვარტალში დასაქონლებით.

ამავე მიზეზების გამო სამინისტრო ვერ ახერხებს განაცხადის სრულად დაკმაყოფილებას ფქვილზე მეორე კვარტალში.

გაცნობებთ რა აღნიშნულს, გთხოვთ, მიიღოთ საჭირო ზომები ფქვილის რესურსის მაქსიმალურად, მომჭირნეობით გამოყენებისათვის.

ცეკავშირის საწარმოო—ტექნიკური სამმართველოს „უფროსი".

## ერთი წერილის შესახებ

ასეთი შინაარსის წერილი მიიღო რაიონის პურკომბინატმა აპრილში. ამასთან დაკავშირებით ცაგერის პურკომბინატის დირექტორი მერაბ გოგიძე განმარტავს:

წერილის მიღების შემდეგ რაიონის მოსახლეობისათვის ფქვილი მეორე კვარტალში ცეკავშირმა გაანაწილა ასე: პურკომბინატს გამოეყო 375 ტონა ფქვილი, ვაჭრობას—190, საზკვებას—5 ტონა, სულ გვაქვს 570 ტონა ფქვილი, საიდანაც მთელი ფონდის 50,7 პროცენტი არის ცეხვილი და მეორე ხარისხის ფქვილი.

კარგად რომ წარმოვიდგინოთ შექმნილი ვითარება, უნდა ვიცოდეთ, რომ მიმდინარე წლის პირველ კვარტალში რაიონისათვის გამოყოფილი იყო 853 ტონა ფქვილი, გასული წლის მეორე კვარტალში კი 1317 ტონა, ანუ 747 ტონით მეტი, ვიდრე წლევანდელ მეორე კვარტალში.

მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ დღეისათვის პურკომბინატს შემოტანილი აქვს მხოლოდ 270 ტონა ფქვილი. არსებული ნაშთებით და შემოსატანი 105 ტონა ფქვილით ძალიან გაგვიჭირდება თავის გატანა მაისის ბოლომდეც კი. წინ კი ზაფხულია უამრავი სტუმრითა და კურორტების სეზონით.

ამჟამად რაიონში გამგებელთა მონაცემებით 19000 კაცია, ამას დაემატება 2500 კაცი, რაიონიდან დროებით გასულები, სულ 21500 კაცი. რესპუბლიკის სტატისტიკური სამმართველოს ოფიციალურ მონაცემებზე დაყრდნობით ცეკავშირი გვზღვავს 17000 კაცზე. აქედან გაანგარიშებით გამოყოფილი 570 ტონა ფქვილი ერთ სულზე 500 გრამი გამომცხვარი პურია, მუდმივ მცხოვრებლებზე გათვალისწინებით და სტუმრიანობის პერიოდში ალბათ 250 გრამიც კი არ გაწვდება ერთ მომხმარებელს.

ასეთი მძიმე სიტუაციის მიუხედავად რაიონის პურკომბინატის ხელმძღვანელობა ცდილობს და დღემდე ვაღწევთ კიდეც რომ მოსახლეობა არ დარჩეს პურის გარეშე. მაგრამ აუცილებელია თქვენი თანადგომა პურის მომჭირნეობით ხარჯვაში.

**კიდევ ერთი საკითხი:** მოსახლეობა სწორად უნდა იყოს ინფორმირებული, რომ 5-ჯერ გაიზარდა ელექტროენერგიის ღირებულება. ეს რაიონში ქართული პურის საცხობების დახურვის აშკარა საშიშროებას ქმნის, ვინაიდან არსებული ნორმებით 1 ტონა პურის გამოცხობისათვის საშუალოდ 1500 მანეთის ელექტროენერგიაა საჭირო, სხვა ყველანაირი ხარჯი რომ გამოვრიცხოთ. ამას კი პურკომბინატი ვერანაირად ვერ შეძლებს, თუ რაიმე კორექტივი არ მოხდა ზემოდან.

## 9 მაისს [illegible] ზეიმობს ფაშიზმზე გამარჯვებას

# ვალმოხდილი

ჩხუტელელ აკაკი ლავრენტის ძე მურცხვალაძეს ბევრ საბრძოლო ოპერაციაში მიუღია მონაწილეობა, მაგრამ დნეპრის გადალახვისთვის და კიევის განთავისუფლებისათვის ბრძოლები განსაკუთრებით დაამახსოვრდა.

1943 წლის ოქტომბერში საბჭოთა ჯარები დნეპრს მიადგნენ. ფაშისტები ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რათა შეეჩერებინათ წითელი არმიის შეტევა დნეპრის ზღუდეზე, მაგრამ ამაოდ. ერთ ღამეს აკაკიმ თავის საბრძოლო გათვლასთან ერთად, რომელშიც 8 კაცი შედიოდა, გასაბერ ნავებზე მოწყობილი ბორნით მტრის გრიგალისებური ცეცხლის მიუხედავად ხუთჯერ გადაცურა მდინარე დნეპრი და მის მეორე მხარეზე გადაიყვანა ასობით ჯარისკაცი, გადაიტანა არაერთი ქვემეხი, ნაღმსატყორცნი, ტყვიამფრქვევი. ბრძოლაში გამოჩენილი შეუპოვრობისა და სიმტკიცისათვის აკაკი მურცხვალაძე წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოვდა.

კიევის რაიონში მტერმა ბრძოლაში დიდი რაოდენობით ტანკი ჩააბა და კონტრიერიშები წამოიწყო. შეიქმნა მტრის ტანკების გამანადგურებელი მოხალისეთა ბრიგადა, რომელშიც ერთ-ერთი პირველი აკაკი მურცხვალაძე ჩაეწერა. 2 დღე და ღამე იბრძოდნენ და საშუალება არ მისცეს მტერს ჩვენი ჯარების სიღმეში შემოჭრილიყვნენ. ამ ბრძოლაში აკაკიმ მეორედ დაიმსახურა უმაღლესი მთავარსარდლის ი. ბ. სტალინის მადლობა.

აკაკიმ აქტიური მონაწილეობა მიიღო მდინარე ოდერის გადალახვაში და ვარშავის განთავისუფლებაში. დიდი ბრძოლები გადაიხადა მან ბერლინის ქუჩებშიც, თავისი თვალით ნახა ჰიტლერული გერმანიის დედაქალაქის დაცემა.

აკაკი მონაწილეობდა გერმანიის უკანასკნელი მოკავშირის, იმპერიალისტური იაპონიის განადგურებაშიც.

1946 წელს დაბრუნდა აკაკი თავის ოჯახში და თან ჩამოიტანა 2 ორდენი, 5 საბრძოლო მედალი, უმაღლესი მთავარსარდლის 4 მადლობა.

მას შემდეგ სად არ იმუშავა აკაკიმ და ყველგან კარგი კაცობის, კარგი სპეციალისტის სახელი დატოვა.

დღეს იგი კვლავ შრომის ფერხულშია ჩაბმული და ქმნის ხვავსა და ბარაქას.

# დასტაქრის საბრძოლო ოდისეა

რესპუბლიკის დამსახურებულმა ექიმმა იროდი პლატონის ძე ნემსაძემ 1937 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი და ოთხი წელი იმუშავა მშობლიურ ცაგერის რაიონში.

1941 წელს, ომის დაწყებისთანავე, ი. ნემსაძე გაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში, სადაც მე-6 საჰაერო არმიის 314-ე ავიადივიზიის 71-ე ავიაპოლკის უფროს ექიმად დაინიშნა.

პირველი საბრძოლო ნათლობა მოსკოვის დაცვის დროს მიიღო, სადაც მეტად მძიმე პირობებში უხდებოდა შრომა და ბრძოლა. ექიმი ნემსაძე თავგანწირვით იცავდა თითოეული მეომრის სიცოცხლეს, გულადობას, გამბედაობას იჩენდა, ამიტომ სარდლობა ყოველთვის კმაყოფილი იყო მისი მუშაობით.

მოსკოვთან მტრის განადგურების შემდეგ ი. ნემსაძე იბრძოდა ჯერ უკრაინის პირველი და მეორე ფრონტის, ხოლო შემდეგ ბელორუსიის პირველი ფრონტის შემადგენლობაში, მონაწილეობდა კიევის, მინსკისა და ბრესტის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

1944 წლიდან ი. ნემსაძე პოლონეთის განთავისუფლებისათვის იბრძვის. ერთ დღეს, მტრის საჰაერო თავდასხმის დროს ი. ნემსაძე მძიმედ დაიჭრა და თვითმფრინავით სასწრაფოდ მოსკოვში გადმოიყვანეს. განკურნების შემდეგ კვლავ ფრონტს დაუბრუნდა და ერთ-ერთ პოლონურ ნაწილში დაინიშნა უფროს ექიმად. თავის ნაწილთან ერთად აქტიურად მონაწილეობდა ლიუბლინის, ვარშავის, ფრანკფურტის და სხვა ქალაქების განთავისუფლებისათვის ბრძოლებში, ომი ბერლინში დაამთავრა.

ომში თავდადებული შრომისა და ბრძოლისათვის მედიცინის გვარდიის მაიორმა ი. ნემსაძემ წითელი ვარსკვლავის ორდენი და უმაღლესი მთავარსარდლის ი. ბ. სტალინის 8 პირადი მადლობა დაიმსახურა.

პოლონეთის ჯარში ერთგული სამსახურისათვის ი. ნემსაძეს მიღებული აქვს პოლონეთის ჯარის მთავარსარდლის, პოლონეთის მარშალის ი. ჟიმერსკის მადლობის წერილი, აი, ისიც:

„გულითად მადლობას გიძღვნით პოლონეთის არმიაში [illegible] სამსახურისათვის.

თქვენ მოიხადეთ თქვენი მხედრული ვალი და ბრუნდებით სამშობლოში. გულითადად გისურვებთ დიდ წარმატებებს ახალ სამუშაოზე. თქვენ დაუღალავად ზრდიდით პირად შემადგენლობას წითელი არმიასა და პოლონეთის არმიას შორის ძმური მეგობრობისა და ურთიერთნდობის სულისკვეთებით. დიდი მადლობა ამ კეთილშობილური მისიის შესრულებისათვის".

საბჭოთა არმიიდან დაბრუნების შემდეგ ი. ნემსაძე სხვადასხვა დროს მუშაობდა ქირურგად ცაგერისა და ლენტეხის რაიონებში, იყო ზუბის, ოყურეშის, ლასურიაშის საექიმო უბნების გამგე, სასამართლო ექსპერტ-ექიმი.

ჯანმრთელობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის მინიჭებული ჰქონდა რესპუბლიკის დამსახურებული ექიმის წოდება.

ი. ნემსაძე გარდაიცვალა 1985 წელს.

მის კეთილშობილურ პროფესიას ღირსეულად აგრძელებენ მისი ქალიშვილები, რომლებმაც კარგი ქართული ოჯახები შექმნეს.

### ჩვენ გვწერენ

# ჩვენც ლეჩხუმელები ვართ...

ცუდი დრო გვიდგას, მოთმინებით ვეგუებით თითქმის ყველაფერს — ფასების კატასტროფულ ზრდას, სიდუხჭირეს, ჩვენს სულსა და ჯიბეში უსირცხვილოდ ხელის ფათურს, პოლიტიკოსთა გაუთავებელ ურთიერთანგარიშსწორებას საქართველოს საზიანოდ, პატიოსნების, სინდისის, ღირსების, კანონის აბუჩად აგდებას, ვეგუებით, მაგრამ დაგვიღალეთ კი. მოთმინებასაც ხომ აქვს თავისი ზღვარი.

ახლა უფრო კონკრეტულად ჩვენს საწუხარზე: ვფიქრეთ, დღეს თუ არა ხვალ მაინც გავახსენდებით ვისმეს, მოგვხედავს, ჩვენც ამ რაიონის შვილები ვართ, ღვთის შვილები.

საქმე ის გახლავთ, რომ ლენტეხის ე. წ. გადაღმა ზონის ხალხს, რიონისა და ლაჯანურის ხეობისას, ძალიან გვიჭირს, აბა, მეტი გაჭირვება რა იქნება, როცა მთელი ოთხი თვეა თითქმის მოწყვეტილი ვართ რაიონსა და მის ცენტრს. არანაირი ტრანსპორტი არ მუშაობს.

რატომ? თურმე ადგილობრივი რეისები ვიღაცას ეკონომიურად ხელს არ აძლევს, წამგებიანია (?!) ბოლოსდაბოლოს შვილი დედასთან ვერ მისულა, დედა შვილთან, ნათესავი ნათესავთან, პენსია, ავადმყოფი, საქმე, რომელიც რაიონულ ცენტრში აუცილებელ ჩასვლას ითხოვს. ჭირსა და ლხინს რაღა ვუყოთ.

ვიფიქრეთ, გაიარა დიდთოვლობამ, ბენზინი კი მართალია, ძვირია, მაგრამ, ასე თუ ისე გამოჩნდა. არც ჩვენ ვართ უთვალ-უყურო. ქუთაისსა და თბილისამდე თუ რეგულარულად დადის ავტობუსები კომერციულ ფასებში, მაგრამ მაინც, იგივე ბენზინი ჩვენს ტრასაზე აღარ გადის? ნუ იჯავრებენ მძღოლები, გულნაკლულს არ დავტოვებთ, ოღონდაც ერთი რეისი მაინც დაინიშნოს ცაგერიდან ალპანა-ტვიშის მიმართულებით.

გვესმის ჩვენს ამ კატეგორიულ ტონს წყენაც მოჰყვება და საყვედურებიც, ათასი თავის გასამართლებელი არგუმენტი (მაგალითად, არც ცხენისწყლის ხეობაში მოძრაობს ადგილობრივი რეისებით), მაგრამ ჩვენვე ვპასუხობთ: იქ არის საშუალება გამვლელი ტრანსპორტით მაინც ისარგებლოთ), მაგრამ რა ვქნათ, ასჯერ გავზომეთ შექმნილი ვითარება, კომერციული სიძვირეც გვესმის, გაჭირვებაც, მაგრამ მივედით იმ დასკვნამდე, რომ რაიონის ავტოსატრანსპორტო საწარმოს ხელმძღვანელები ჩვენი ზონის ათასობით ადამიანის გაჭირვებას უპატივცემულოდ ეკიდებიან.

**ლაჯანურისა და რიონის ხეობის სოფლების მცხოვრებთა სახელით:**

**ს. მეგრელი,**
**ნ. ბურჯალიანი,**
**ზ. კენჭაძე.**

# ჩაგვაბარეთ მინის ტარა

ვიცით, რომ მოსახლეობაში ბევრია მინის ტარა, რომლის შესასყიდი ფასი დღეს ძალიან მაღალია, ამიტომ გთხოვთ ჩააბაროთ გამოუყენებელი ტარა რაიკოოპერატივის დამამზადებელს (გუჯუ სვანიძე) ჩხუტელში ყოფილი სამშენებლო მასალების მაღაზიის შენობაში.

მინერალური წყლის, უალკოჰოლო სასმელების, რძის, ყურძნის და ხილის წვენების ნახევარლიტრო ტევადობის ბოთლი 4 მანეთი ღირს, არაყის, ლიქიორ—კონიაკის, ღვინის—4 მანეთი და 80 კაპიკი, ზეთის—4 მანეთი, 200-250 გრამიანი ქილა—2 მანეთი და 40 კაპიკი, 3 ლიტრიანი ქილა—8 მანეთი, 2 ლიტრიანი—6 მანეთი, ერთლიტრიანი—4 მანეთი და 80 კაპიკი, 0,5 ლიტრიანი—3 მანეთი და 20 კაპიკი.

მობრძანდით, ჩაგვაბარეთ თქვენთვის გამოუყენებელი მინის ტარა, კარგ ანაზღაურებასაც მიიღებთ.

**ლ. კოპალიანი,**

**რაიკოოპერატივის საქონელმცოდნე.**

# შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებიდან გვატყობინებენ

17 აპრილს დაუდგენელმა პირებმა გატეხეს ჩხუტელის საშუალო სკოლის შენობა და გაიტაცეს 4 ცალი გამომთვლელი მანქანა.

18 აპრილს ღამით სარაიონო კულტურის სახლიდან მოიპარეს ტელევიზორი, ტელეფონის აპარატი და სხვა ნივთები.

ალპანის საშუალო სკოლიდან მოიპარეს გამომთვლელი მანქანები, ტელევიზორი და სხვა ნივთები.

საქმეებს იძიებენ შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების შესაბამისი სამსახურები.

# სპორტი: სპარტაკიადის პროგრამით

ცაგერის სპორტდარბაზში გაიმართა რაიონის სკოლების პირადგუნდური პირველობა ქართულ ჭიდაობაში. შეჯიბრება ჩატარდა ერთ წრებიანი სისტემით. სანახაობა მეტად საინტერესო იყო, შეჯიბრებამ გამოავლინა რაიონის სკოლების ჩემპიონები წონითი კატეგორიების მიხედვით.

**პირველ წონაში** (30-32 კგ) პირველი ადგილი დაიკავა ვალიდია მურცხვალაძემ, მეორე— ზაკურ პირველმა (ჩხუტელისა და ცაგერის საშუალო სკოლები).

**მეორე წონაში** (32-35 კგ) პირველი იყო ლევან ფრუიძე, მეორე—სოსო ქასელაძე (ჩხუტელისა და ცაგერის საშუალო სკოლები).

**მესამე წონა** (35-38 კგ) პირველი იყო კოტე ტვილდიანი, მეორე—ალუდა სილგაძე (პროფსასწავლებელი, ლასურიაშის საშუალო სკოლა).

**მეოთხე წონაში** (38-41 კგ) მეორე—ალუდა სილაგაძე (პრო- მეორე—ზაზა კენჭაძე (პროფსასწავლებელი, ლასურიაშის საშუალო სკოლა).

**მეხუთე წონაში** (41-45 კგ) პირველ ადგილზეა ლიმა ლიპარტელიანი, მეორეზე შმაგი ბენდელიანი (ცაგერისა და ბარდნალის საშუალო სკოლები).

**მეექვსე წონაში** (45-49 კგ) გაიმარჯვა გიორგი მეშველიანმა, მეორე ადგილზეა ზურაბ მუშკუდიანი (ჩხუტელისა და ლასურიაშის საშუალო სკოლები).

**მეშვიდე წონაში** (49-52 კგ) პირველი იყო არჩილ კოპალიანი, მეორე—ლაშა სილაგაძე (ცაგერის საშუალო სკოლა, ლაჯანის სკოლა-ინტერნატი).

**მერვე წონაში** (52-56 კგ) პირველი იყო კახა ბენდელიანი, მეორე—იაკობ ღურჭუმელიძე (ბარდნალის საშუალო სკოლა, ლაჯანის სკოლა-ინტერნატი).

**მეცხრე წონაში** (56-60 კგ) პირველი იყო იმედა ბენდელიანი, მეორე ოტია ლიპარტელიანი (ბარდნალისა და ცაგერის საშუალო სკოლები).

**მეათე წონაში** (60-64 კგ) პირველი იყო გოჩა კანაჩაძე, მეორე—გიორგი ბურჯალიანი (პროფსასწავლებელი, ლაჯანის სკოლა-ინტერნატი).

**მეთერთმეტე წონაში** (64-68 კგ) პირველი იყო სულხან ჯამბურიძე, მეორე—ლაშა მეშველიანი (ლასურიაშისა და ბარდნალის საშუალო სკოლები).

**მეთორმეტე წონაში** (68-72 კგ) პირველი იყო ზურაბ სვანიძე, მეორე—მალხაზ ხვადაგიანი (ლასურიაშის საშუალო სკოლა, პროფსასწავლებელი).

**მეცამეტე წონაში** (72-76 კგ) პირველი იყო რომეო კალანდაძე, მეორე—ირაკლი ჩაჩხიანი (ცაგერის საშუალო სკოლა, ლაჯანის სკოლა-ინტერნატი).

**მეთოთხმეტე წონით** კატეგორიაში თავი მოიყარეს მძიმე წონის მოჭიდავეებმა. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ კობა ქომეთიანი და გიორგი ტვილდიანი. მეტად საინტერესო ორთაბრძოლა დამთავრდა კობა ქომეთიანის სასარგებლოდ, მეორე ადგილზე გამოვიდა გიორგი ტვილდიანი (პროფსასწავლებელი, ცაგერის საშუალო სკოლა).

შეჯიბრებამ გამოავლინა გამარჯვებული გუნდები. პირველ ადგილზეა ცაგერის, მეორეზე ლასურიაშის, მესამეზე ბარდნალის საშუალო სკოლების მოჭიდავეთა გუნდები.

შეჯიბრებაში გამარჯვებული მოჭიდავეები დაჯილდოვდნენ შესაბამისი სიგელებით, ხოლო გუნდები—დიპლომებით.

სპარტაკიადა გრძელდება.

**ჯ. შკუბულიანი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გილოცავთ ახალდაქორწინებულებო!

**ნუნუ ყურაშვილს, თენგო სვანიძეს**

გილოცავთ ბედნიერებას, გფარავდეთ ღმერთი.

შმაგი, ნესტან მახარობლიძეები, გელა, ირმა სილაგაძეები, მაკა ახვლედიანი.

**მანონ ახვლედიანს, იური ხეცურიანს**

გილოცავთ ბედნიერებას. სიხარული დაგებედოთ ცხოვრებაში.

გულვერ, გურამ გიორგობიანები, ზურაბ, მერი, შოთიკო ხეცურიანები.

**ნატო დავითულიანს, გენადი კოპალიანს**

გილოცავთ ბედნიერებას.

ბარდნალის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი.

**ლალი კოპალიანს, გორია განძელაძეს**
**ცისანა მუშკუდიანს, გოჩა მღივანს**

გილოცავთ ბედნიერებას. სიყვარული იყოს თქვენი ცხოვრების თანამგზავრი.

ქეთინო მეშველიანი, ნინო ჭაბუკიანი.

**მანონ ახვლედიანს, იური ხეცურიანს**

გილოცავთ ბედნიერებას. გისურვებთ ულევ სიხარულს, უჭკნობ სიყვარულს, შვილთა სიმრავლეს. ღმერთი გფარავდეთ აწ და მარადის.

თეო, გურამ, შოთა ტყაბლაძეები ოჯახებით.

**მანონ ახვლედიანს, იური ხეცურიანს**

გილოცავთ ბედნიერებას. იხარეთ, გფარავდეთ მაღალი ღმერთი.

ღვირიშის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი.

**მაია ტალახაძეს, კობა ჩაფრავას**

გილოცავთ ბედნიერებას, იმრავლეთ და იბედნიერეთ.

ლალი ხვადაგიანი.

**ნატო ჯემალის ასულ დავითულიანს**
**გენადი ჯემალის ძე კოპალიანს**

გილოცავთ ბედნიერებას. გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს ცხოვრებაში, იხარეთ და იმრავლეთ.

შორენა ხეცურიანი.

**ნატო დავითულიანს, გენადი კოპალიანს**

გილოცავთ ბედნიერებას. გამრავლდით, სიხარული არ მოგაკლოთ ღმერთმა.

ქეთინო, ბადრი თუთისანები.

**ნატო ჯემალის ასულ დავითულიანს**
**გენადი ჯემალის ძე კოპალიანს**

გილოცავთ ბედნიერებას. ფუძემდლიერი ყოფილიყოს თქვენი ახლადშექმნილი ოჯახი.

ნანი ქომეთიანი, თამილა ბენდელიანი, ირინე სვანიძე, ნუნუ გელენიძე, მაყვალა ცხეედიანი, ნანული მეშველიანი, ლეილა ბენიძე.

**ლალი კოპალიანს, გორია განძელაძეს**

გილოცავთ ბედნიერებას. გფარავდეთ ღმერთი.

მურთაზ, თემო, ჯიმშერ, ჟუჟუნა, ვაჟა, ჯემალ კოპალიანები, გრიშა ლეთოდიანი, ბორის აბაშიძე, იდენი, ზაალ ნემსწვერიძეები, გრიგოლ სალიჩაძე, შაქრო ბენდელიანი.

**მანონ ახვლედიანს, იური ხეცურიანს**

გილოცავთ ბედნიერებას, იხარეთ, იმრავლეთ.

ლია მურუსიძე, მურთაზ ჩხეტიანი.

**მანონ ახვლედიანს, იური ხეცურიანს**

გილოცავთ ბედნიერებას. შეგექმნათ ფუძემდლიერი ოჯახი.

ღვირიშის საკრებულოს თანამშრომლები.

**ლალი კოპალიანს, გორია განძელაძეს**

გილოცავთ ოჯახის შექმნას. ბედნიერი, ფუძემდლიერი, მტკიცე და სიყვარულით სავსე ყოფილიყოს იგი. მრავალ შვილს აეხმიანებიოს თქვენი ეზო-კარი.

ნინო, ნუგზარ კოპალიანები.

**ინეზა გენიძეს, ავთანდილ კოპალიანს**
**ნესტან სალინაძეს, რამაზ ნემსწვერიძეს**

გილოცავთ ბედნიერებას. გფარავდეთ ღმერთი.

მარინე, იზო ხეცურიანები, ლეილა ლეთოდიანი, ნონა კოპალიანი.

## გილოცავთ

**ნანა, ალეკო, ციალა, ზურაბ ახვლედიანებს**

გილოცავთ პირველი შვილისა და შვილიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს ერის სასახელო ვაჟკაცი, ღმერთი იყოს მისი მფარველი.

ტვიშის საექიმო ამბულატორიისა და აფთიაქის თანამშრომლები.

**ნინო, კახა, გულიკო, ნინო, ნანა გურჯალიანებს**

გილოცავთ შვილის, შვილიშვილის და ძმისშვილის შეძენას. გაზრდილიყოს ერის სასახელო ვაჟკაცი.

გურამ გვიშიანი ოჯახით.

**ნინელი, ნოდარ მუშკუდიანებს**

გილოცავთ კობას ბედნიერებას. ღმერთი იყოს თქვენი ოჯახის მფარველი.

ნინელი, ტუკა ჩხეტიანები, სოფო, სოსო მუშკუდიანები, ციცო, ვაჟა ჩაკვეტაძეები.

**სოფო გვიშიანს, სოსო მუშკუდიანს**

გილოცავთ პატარა გიორგის შეძენას.

დისშვილები მამუკა, მერაბ ჩხეტიანები, თამილა, ეკა ჩაკვეტაძეები.

**მაგული ყურაშვილს**
**ავთანდილ ახვლედიანს**

გილოცავთ მანონის ბედნიერებას. ფუძემდლიერი ყოფილიყოს მისი ახლადშექმნილი ოჯახი.

ანზორ, იური ახვლედიანები.

**მაგული ყურაშვილს**
**ავთანდილ ახვლედიანს**

გილოცავთ მანონის ბედნიერებას. გისურვებთ ულევ სიხარულს.

მზია, იზა გიორგობიანები.

**სოფო, სოსო მუშკუდიანებს**

გილოცავთ ვაჟის შეძენას. კიდევ მრავალი სიხარული განეცადოს თქვენს ახლადშექმნილ ოჯახს.

შოთა, კახა ჩხეტიანები, ვარლამ გოლეთიანი, ბეჟან ტვილდიანი ოჯახებით.

**სოფო გვიშიანს, სოსო მუშკუდიანს**

გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას, შემატებოდეს და-ძმები, გფარავდეთ ღმერთი.

ნანი, ხათუნა მეშველიანები, ლალი, გულო კვირკაშვილები, იამზე ბურჯალიანი, ნინო ხეცურიანი, დიანა ცვარიანი, ციცო ლარცულიანი, ნუგზარ ტვილდიანი, გრიშა ჩიქოვანი.

**დათო ქარსელაძეს**

გილოცავ დაბადების დღეს. გაიზარდე ერის სასახელო შვილი. ღმერთი იყოს შენი მფარველი.

გუგული მამიდა.

**ლილი, ჯემალ დავითულიანებს**
**ნანული, ჟიჟიკო ჩარკვიანებს**

გილოცავთ შვილების ბედნიერებას.

გია ჩარკვიანი, ცაგუ ახვლედიანი, მაყვალა ცხვედიანი, ნორა ლარცულიანი, ნუნუ გელენიძე, თინა თუთისანი, ირინე სვანიძე, თამილა ბენდელიანი.

**ლილი, ჯემალ დავითულიანებს**
**ნანული, ჟიჟიკო ჩარკვიანებს**

გილოცავთ შვილების ბედნიერებას.

ნანი ქომეთიანი, ლეილა ბენიძე, ნანა ხეცურიანი, ფოთოლა კოპალიანი, დოდო ლორთქიფანიძე, ნაზიკო ხაბულიანი, გუგული ლოლელიანი.

**ჟუჟუნა ნესტორის ასულ გვიშიანი-ხეცურიანს**

გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, მხნეობას და დიდხანს სიცოცხლეს.

ლელა, ნინო, ნანა, დათო, გიორგი ხეცურიანები.

**სულიკო, ჯიმშერ ფოჩხიძეებს**

გილოცავთ შვილების, ინგასა და ირმას ბედნიერებას.

თინა ფოჩხიძე-ახვლედიანი.

**მაკა ლონურის ასულ ხუგუკელაშვილს**
**მერაბ მიხეილის ძე ქარსელაძეს**

გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს ერის სასახელო ვაჟკაცი.

თაბორის არასრული საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი.

**სოფო გვიშიანს, სოსო მუშკუდიანს**

გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს ერის სასახელო ვაჟკაცი.

არქიტექტურის და მშენებლობის განყოფილების თანამშრომლები.

**ლალი, გიორგი კვირკაშვილებს**

გილოცავთ ქალიშვილის შეძენას. შემატებოდეს და-ძმები.

მარინე სვანიძე, ლალი ხვადაგიანი, ელეონორა კვირკაშვილი, სოზარ ლარცულიანი.

**ნინელი, იზოლდა, ნოდარ, ვიტალი მუშკუდიანებს.**

გილოცავთ კობას ბედნიერებას.

კინოფიკაციის თანამშრომლები.

**თინა, ალიოშა ქლიბაძეებს**

გილოცავთ ნინოს ბედნიერებას. სიხარული ნუ მოკლებოდეს თქვენს ოჯახს.

ჯობო ბაკურაძე, გერონტი სილაგაძე ოჯახებით.

**მაგული, ბიჟიკო ქარსელაძეებს**

გილოცავთ გოგის ბედნიერებას.

სევარიონ, ტიტიკო, შოთიკო, სოსო კოპალიანები.

**მაკა დავითულიანს, მირიან კოპალიანს**
**ციცო, შადიმან დავითულიანებს**
**ნაზიკო, რეზო კოპალიანებს**

გილოცავთ შვილისა და შვილიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს ერის სასახელო შვილი.

რამაზ კვირკაშვილი ოჯახით.

**რუსიკო ლევანის ასულ ნემსწვერიძეს**

გილოცავთ მინდიას ბედნიერებას.

ორბელის საკრებულოს თანამშრომლები.

**ია მიქელაძეს, კლარა ნემსწვერიძეს**

გილოცავთ შვილიშვილების შეძენას. აღზრდილიყვნენ სასახელონი.

მარინე ლოლელიანი, რამაზ სილაგაძე, ილუშა ურთმელიძე ოჯახებით.

**ლელა, გია ნემსწვერიძეებს**

გილოცავთ ქალიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს სასახელო ქალი.

ლალი, მირზა ხეცურიანები.

**ვენერა, დაშა, გუხუტი ხეცურიანებს**

გილოცავთ ძმისშვილის და შვილის იურის ბედნიერებას. გისურვებთ ულევ სიხარულს.

ოლეგ, ჯიბილო გიორგობიანები.

**სოფო გვიშიანს, სოსო მუშკუდიანს**

გილოცავთ ვაჟიანობას. შემატებოდეს და-ძმები.

ბახვა კოპალიანი, ლაშა ბურჯალიანი, გოგი გოლეთიანი ოჯახებით.

**ნათელა, რუბენ ხვადაგიანებს**
**მერი, ოთარ ჟაგუკიანებს**

გილოცავთ შვილიშვილების შეძენას.

საფინანსო განყოფილების და სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის თანამშრომლები.

**მაყვალა, ავთო ჩიქოვანებს**
**სოფო, სოსო მუშკუდიანებს**

გილოცავთ ვაჟიშვილების შეძენას.

საფინანსო განყოფილების და სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის თანამშრომლები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა!

რესპუბლიკის მთავრობის ა წ. 22 აპრილის № 473 გადაწყვეტილებით ამწლის პირველი აპრილიდან მოქმედებაში შევიდა ელექტროენერგიის ახალი ტარიფები, კერძოდ, მოსახლეობისათვის ძალაში დარჩა 12 კაპიკი ერთ კვტ საათზე, შეღავათის გათვალისწინებით. საბიუჯეტო ორგანიზაციისათვის-52,5 კაპიკი 1 კვტ საათზე, ხოლო სამრეწველო ორგანიზაციებისათვის 2 მანეთი და 43 კაპიკი.

ცაგერის სარეალიზაციო უბანი.

# ცაგერის სამუსიკო სკოლა და ლაჯანის ფილიალი

აცხადებენ მოსწავლეთა მიღებას 1992_93 სასწავლო წლისათვის ფორტეპიანოს და ვიოლინოს 1 კლასში. ფორტეპიანოს განყოფილებაზე მიიღებიან 7_8 წლის, ვიოლინოს განყოფილებაზე 7_8-9 წლის ბავშვები.

განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: დაბადების მოწმობის ასლი, ორი ცალი ფოტოსურათი (ზომით 3X4), ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, ცნობა მშობელთა საქმიანობის შესახებ, ცნობა სკოლიდან, ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.

განცხადებები მიიღება 5_დან 31 მაისამდე. კონსულტაციები ჩატარდება 5_6 ივნისს, მისაღები გა[illegible] ივნისს.

ჩვენი მისამართი: [illegible], რუსთაველის ქ. №39, სამუსიკო სკოლა. ტელეფონი 26_00.

ცაგერის სამუსიკო სკოლის დირექცია.

# ხსოვნა

# ღ მ ე რ თ ო, უ ლ ხ ი ნ ე მ ა თ ს უ ლ ე ბ ს!

## რეზო შოთას ძე გენდელიანი

საბედისწერო გახდა შენთვის, ჩვენთვის 1990 წლის 2 სექტემბერი—კვირა დღე, ავტოკატასტროფას ემსხვერპლე, ჩვენო საყვარელო მამა. როგორ ობლად მიგვატოვე, როგორ დაუმშვიდობებლად წახვედი. ისეთი კეთილი იყავ, სიკვდილი ასე ნაადრევად კი არა, საერთოდ თუ მოგაგნებდა, არ გვეგონა, გვიჭირს უშენობა. როცა ძალიან, ძალიან მოგვენატრები, საათობით ვდგავართ შენს საფლავთან და მარმარილოს ქვიდან უსიტყვოდ მომზირალ შენს თვალებს ჩვენც უსიტყვოდ, ცრემლით სავსე თვალებით ვუცქერით, ვეფერებით.

სამი შვილი შენი სიამაყე იყო, გიხაროდა, არ ფიქრობდი, სულ არ ფიქრობდი და ისე წახვედი, უცებ... ცხოვრობდი ტკბილად ცოლ_შვილში, შრომობდი, მაგრამ, ვაი, რომ ულმობელმა სიკვდილმა არ დაგაცალა და 39 წლის ასაკში, როცა ყველაზე მეტად გვჭირდებოდი, წაგვართვა შენი თავი. რა ქნას დედამ, უმამობას არ გვაგრძნობინებს, მაგრამ გვაკლია შენი ხელი, შენი ალერსი. როგორ გვენატრები, სიზმარში მაინც დაგვენახე, მამა, წუთიერად, მოგეფერებით და წადი ისევ, მეტს არ გთხოვთ არაფერს.

შემოდგომა შეგვძულდა, მამი, სექტემბერი შეგვძულდა. აღარც გაზაფხული გვახარებს. მეორე წელია უშენოდ ვხვდებით. არასდროს, არასდროს არ დაგივიწყებთ, მამი, არ შევარცხვენთ შენს სახელს, უწმინდეს ადგილად ვთვლით შენს საფლავს, ხშირად ვკრეფთ იებს, ყოჩივარდებს და მოგვაქვს შენს საფლავზე... ტყემალი აფეთქდა, მამა, ატამიც აფეთქდა, შენი გული კი აღარ ფეთქავს მეორე წელია უკვე...

შვილები: ეკა, მაკა, მამუკა გენდელიანები.

სოფ. ქულბაქი.

## ია (ძაძუ) ნემსაძე - ბატიაშვილი

ამბობენ, დედის ცრემლებზე ია ამოდისო, ალბათ, ამიტომაცაა მიწა იებით მოფენილი.

დაგტირი ია, ჩემო ერთადერთო შვილო, იმედო და სიცოცხლევ.

გაზაფხულზე დაიბადე, 22 აპრილს. 23_ე გაზაფხულს ვხვდებით უშენოდ. უდედოდ დამიტოვე 8 წლის ნანა და 7 წლის დათო, რა სიყვარულით გიყვარდა მეუღლე, შვილები...

წლები გარბიან, შვილო. უკვე სამი შვილიშვილი გყავს. უფროსს ია დავარქვით, 8 წლისაა. სულ შენი განსახიერებაა.

ძალიან გვენატრები ია_დედა (ასე გეძახდით), მაგრამ ჩვენთვის არ ჩნდები. მხოლოდ შენს ცივ სამარეს დავყურებთ



უიმედო, ცრემლიანი თვალებით.

სიცოცხლით სავსე იყავ, ღიმილიანი, ალალი, მეგობრებისა და ნათესავების მოყვარული, მაგრამ უკურნებელმა სენმა არ დაგაცალა. 32 წლის ასაკში გამოგასალმა წუთისოფელს.

სიკვდილსაც ღიმილით შეხვდი. შენს შვილებს ეს დღე არასოდეს დაავიწყდებათ.

სანთლებს გინთებთ, წმინდა სანთლებს, ისინი შენი თვალებივით დიდ სითბოს გამოყოფენ. სანთლებით უფალს ვავედრებთ შენს სულს.

რა ძნელია უშენობა, ია დედა, ია შვილო, ია ბებო... იქნებ ჩვენი ცრემლებიდანაც ამოვიდეს შენს საფლავზე ია და გაგვიღიმოს, შენეული ღიმილი მოგვაგონოს.

დედა, მეუღლე, შვილები.

## აკაკი (ჯონი) კილასონია

## ამირან, ბადრი კოპალიანები

გაზაფხულია, ყველაფერი იღვიძებს და იფურჩქნება, თქვენ კი სამუდამოდ დაიძინეთ, ბიჭებო. უკვე მეათე გაზაფხული მოვიდა უთქვენოდ. 26 აპრილს 10 წელი შესრულდა იმ საბედისწერო დღიდან—1982 წლის 26 აპრილს ავტოავარიას ემსხვერპლა თქვენი სიცოცხლე, ორბელის გადასასვლელზე შეჩერდა თქვენი გულების ძგერა.

ძმაო ამირან, გიკვირს ჟანა, როგორ გაძლეს უშენოდ ამდენხანს შენმა უბედურმა დედამ და დამ. უცოლშვილოდ წახვედი ამქვეყნიდან, მაგრამ... დალოცვე ჩემი პატარა ანა, რომ შენს საფლავზე მოვიდეს და სახელი შენი არ დაივიწყოს.

ძმაო ჯონი, როგორ გაამწარე შენი მშობლები, დები და ძმა, დაობლე შენი სამი ვაჟკაცი. გვაკლიხარ, მაგრამ გიზრდი შენს შვილებს და სიტყვას გაძლევ, რომ არ შეარცხვენენ შენს სახელს. მინდა არ ვაგრძნობინო ობლობა.

ჩვენო ბადრი, ხომ არ გგონია, დაგვავიწყდი? არა, ძმაო მართალია, შენ არ დაგრჩენია ჩვენსავით გულდამწვარი დები, ძმები და მშობლები, მაგრამ იცოდე—ყველანი შენი და_ძმები ვართ, ჩვენს უბედურ ძმებთან ერთად გვეხსომები ყოველთვის, ერთად წახვედით ამ ქვეყნიდან, ერთად ხართ იქაც და ერთად მოგიგონებთ ჩვენც.

დაე, მსუბუქი იყოს თქვენთვის ის მიწა, ასე უდროოდ რომ დააწვა თქვენს მხრებს.

თქვენი გულდამწვარი დები ეთერ კილასონია და დალი კოპალიანი.

---

მეუღლე თამარი, შვილები ქენია, ნარიგიზა, შვილიშვილი გია, ძმა დავითი, ძმისშვილები დალაში, ზურაბი, გუგული, ცოლისძმები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**კირილე ევგენის ძე ჩაკვეტაძე**

დაკრძალვა 10 მაისს კვირას ქ. ცაგერში.

---

გულნაზი, მაგული, ხათუნა კოპალიანები, საშა, გულნაზი ხაბულიანები, მაყვალა, ლიდა, ნაზიკო ლეთოდიანები, ფოთოლა ჯიაძე, ნელი მუკვანი თანაუგრძნობენ გრიშა კოპალიანს ძმის

**ჟორა კოპალიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ციცო სადილიანი, ქენია მანაგაძე, ლია გუგავა, ლია ხვადაგიანი, ინგა თოთაძე, მედიკო ნემსაძე, მაია ბახსოლიანი, აზა ირემაძე, ქუქუნა მეშველიანი, ლია და ლია მუშკუდიანები, თამაზ კენჭაძე თანაუგრძნობენ დარეჯან, გოგი გოგიძეებს

**თამაზ სულაბერიძის**

გარდაცვალების გამო.

---

მეუღლე ნინა, შვილები თამილი, დემური, ლეილა, რძალი მაყვალა მუშკუდიანი, სიძეები ტარიელ გიორგობიანი, შალვა გურგენიშვილი, ძმისშვილი ნოდარ აბაშიძე, დისშვილები ნაზიკო, ბორის ჭაბუკიანები, შვილიშვილები ნუგზარი, ქეთინო, ლევანი, სოსო, ეკა იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**დავით ერისტოს ძე აბაშიძე**

დაკრძალვა 10 მაისს, კვირას სოფ. ორბელში.

---

ილარიონ გელოვანი, ომარ ჭაბუკიანი ოჯახებით იუწყებიან

**ვასილ და ტრისტან ჭაბუკიანების**

გარდაცვალებას.

---

მეზობლები შოთა, ვაჟა, გელა, რუსუდან ყურაშვილები, ომარ, გელა, ოთარ, დემურ, შამშე გოლეთიანები, გია, ბაბილო ჩაკვეტაძეები, პარიმონ ბურჯალიანი, დავით ირემაძე ოჯახებით იუწყებიან

**გერონტი ყურაშვილის**

გარდაცვალებას.

---

მეუღლე სონა, შვილები ომარი, სოზარი, სულიკო, მაყვალა, ნინო, რძლები ლალი, აზა, სიძეები თენგიზი, მერაბი, ილო, შვილიშვილები, შვილთაშვილები, დისშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ალექსანდრე არჩილის ძე მამარდაშვილი**

დაკრძალვა 7 მაისს ხუთშაბათს სოფ. ოყურეშში.

---

იდენი, ზაალ ნემსწვერიძეები, მაქრო ბენდელიანი, ბორის აბაშიძე, გრიგოლ სალინაძე, ჯემალ, მურთაზ, ვაჟა, ჯიმშერ, ქუქუნა, ვაჟა, თემურ კოპალიანები, გრიშა ლეთოდიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ნანული, გრიშა კოპალიანებს მაზლისა და ძმის

**ჟორა კოპალიანის**

გარდაცვალების გამო.

---

გრიშა შკუბულიანი, გენური ახვლედიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ინგა, გურამ შკუბულიანებს ძმისა და ცოლისძმის

**გრიშა კუხალაშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

დედა თეო, შვილები მარინე, ნოდარი, გოგი, ნინო, რძლები დალი ნემსწვერიძე, თამუნა ნიჟარაძე, სიძეები ავთო მანდარია, თენგიზ კოპალიანი, შვილიშვილები ნათია, თეა, გია, ლაშა, ლანა, ბელა, ბექა, სოფიკო იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ლილი ვალიკოს ასული ჩაკვეტაძე_ბენიძე**

დაკრძალვა 10 მაისს, კვირას სოფ. ზუბში.

---

ნანი ქომეთიანი, ნანული მეშველიანი, დოდო ლორთქიფანიძე, გუგული ღოღელიანი, ირინე სვანიძე, ნუნუ გელენიძე, თამილა ბენდელიანი, ლილი დავითულიანი, მაყვალა ცხვედიანი, ლეილა ბენიძე, ფოთოლა კოპალიანი, ნანა ხეცურიანი თანაუგრძნობენ ნაზიკო ხაბულიანს მაზლის

**ზაურ ხეცურიანის**

გარდაცვალების გამო.

---

კოლია ფუტკარაძე ოჯახით თანაუგრძნობს აბესალომ ფუტკარაძეს ძმის

**იაშას**

გარდაცვალების გამო.

---

დედა ოლღა, ძმა აბესალომი, და მერი, რძლები ლუბა ჩაკვეტაძე, ცისანა ბეშიძე, ნანა კალანდაძე, სიძეები ანზორ ნემსწვერიძე, გოგი მუშკუდიანი, გია ჩახვაძე, თემურ ჩიქოვანი, ძმისშვილები, დისშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**იაშა არტემის ძე ფუტკარაძე**

დაკრძალვა 7 მაისს ხუთშაბათს სოფ. სანორჩში.

---

მეუღლე მარიამი, შვილები რომანი, გოგი, გია, სულიკო, ლოლა, რძალი ლეილა, სიძეები მურმან ვარენიკაშვილი, მურმან გაბიძაშვილი, ბიძაშვილები დეიდაშვილები, მამიდაშვილები, იუწყებიან

**გერონტი ლუკას ძე ყურაშვილის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 9 მაისს შაბათს სოფ. ნაკურალეშში.

---

ლაცორიის საშუალო სკოლის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნაზი გუგავას სიძის

**ნუგზარ ჩანქსელიანის**

გარდაცვალების გამო.

„ლეჩხუმი" გამოდის [illegible]

ტირაჟი 2900 შეკვეთა №18

ჩვენი მისამართი: 884100 ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №58 ტელეფონები: რედაქტორის — 22-81, რედაქტორის მოადგილის—22-35, სტამბის დირექტორის—22-17, საამწყობო საამქროს —22-28

რედაქტორი ნ. ნემსაძე.

საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო დეპარტამენტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.